

ციცინო მელიქიძე
ნინო ლომიძე

ბუღალტერია

ბიზნესში

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
2012

წიგნში განხილულია ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა, ბუღალტრული აღრიცხვის ციკლი, სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაციიდან ფინანსური ანგარიშგების მომზადების ჩათვლით.

განხილული მაგალითები ადაპტირებული და აღვილად გასაგებია, რაც საშუალებას გვაძლევს მთლიანობაში აღვიქვათ ბუღალტრული აღრიცხვის სრული ციკლი და მისი კავშირი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან.

წიგნი სასარგებლო იქნება როგორც ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობის სტუდენტებისათვის, ასევე ყველა იმ პირებისათვის, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების შესწავლა.

რეცენზენტი: თეიმურაზ ვარდოსანიძე

ბუღალტერია ბიზნესში

ციცინო მელიქიძე
ნინო ლომიძე

რედაქტორები:

პროფესორი მათა ამაშუკელი

პროფესორი თინა ჯოლბორდი

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა©2012
საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ. 77ა

წიგნში დაცულია ყველა საავტორო უფლება. წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების დაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით.

ISBN 978-99940-50-59-8

ა ვ ტ ო რ ე ბ ი ს გ ა ნ

ბუღალტრული აღრიცხვის მოწესრიგებული სისტემა ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირების განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ბუღალტერია ბიზნესის ენაა. ამ ენაზე საუბრობენ, მსჯელობენ და გადაწყვეტილებებს იღებენ საწარმოთა მენეჯერები, ინვესტორები, კრედიტორები და ფინანსური ინფორმაციის სხვა მომხმარებლები.

ჩვენი ნაშრომი (ნაწილი I) შექმნილია ყველასთვის, ვისაც სურს ფუნდამენტალურად გაერკვეს ბიზნესში სააღრიცხვო პროცედურების განხორციელების ტექნოლოგიაში და შეძლოს მომსახურების, სავაჭრო და სამრეწველო ტიპის კომპანიებისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა. წარმოდგენილი მასალა გაჯერებულია პრაქტიკული სავარჯიშოებით, ცხრილებით და სქემებით, რაც ვფიქრობთ, უზრუნველყოფს მკითხველთა მიერ ინფორმაციის ადვილად აღქმას და საკითხების სრულყოფილად გააზრებას. ნაშრომში, დანართების სახით წარმოდგენილია ქართულ-ინგლისური ანგარიშთა გეგმა და ბუღალტრული ტერმინების ინგლისურ-ქართული ლექსიკონი.

ვიმედოვნებთ, “ბუღალტერია ბიზნესში” გაამართლებს მოლოდინს. სტუდენტებს შეუქმნის წინაპირობას და აუმაღლებს მოტივაციას გაიღრმავონ ცოდნა ამ მიმართულებით.

შინაარსი

შინაარსი

თავი I	<u>ბუღალტრული აღრიცხვა – ბიზნესის ენა</u>	8
1.1	ბუღალტრული აღრიცხვის მიზანი, კვლევის საგანი და მეთოდი; სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ეტაპები	9
1.2	ბუღალტრული ინფორმაციის მომხმარებლები	10
1.3	ბუღალტრული აღრიცხვის სახეები	12
1.4	ბუღალტრული აღრიცხვის ფუნდამენტალური პრინციპები	13
1.5	ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და მარეგულირებელი ორგანოები.	18
1.6	ფინანსური ანგარიშგების არსი და კომპონენტები; ფინანსური ანგარიშგების ძირითადი დაშვებები; ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ელემენტები და ხარისხობრივი მახასიათებლები	22
თავი II	<u>ბუღალტრული ბალანსი და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება</u>	35
2.1	ბუღალტრული ბალანსი – სტრუქტურა და შინაარსი	36
2.2	სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებები ბალანსში	43
2.3	მოგებისა და ზარალის ანგარიშგება – სტრუქტურა და შინაარსი.	53
თავი III	<u>ბუღალტრული ანგარიშები და ორადი ჩაწერის სისტემა</u>	68
3.1	ბუღალტრული ანგარიშების არსი და სტრუქტურა	69
3.2	ანგარიშების კლასიფიკაცია	70
3.3	სამეურნეო ოპერაციების ორმაგი ჩაწერის სისტემა	75
3.4	ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა სისტემა (ანგარიშთა გეგმა).	78

თავი IV	ბუღალტრული აღრიცხვის ტექნიკა და სააღრიცხვო ციკლის პროცედურები	86
4.1	პირველადი დოკუმენტები და მათი როლი ბუღალტრულ აღრიცხვაში	87
4.2	პირველად დოკუმენტებზე (სამეურნეო ოპერაციების შინაარსზე) დაყრდნობით ბუღალტრული ჩანაწერების შესრულება მთავარ ბუღალტრულ ჟურნალში	88
4.3	მთავარი ბუღალტრული ჟურნალიდან ინფორმაციის გადატანა მთავარ ბუღალტრულ წიგნში	94
4.4	საცდელი ბალანსის მომზადება	101
თავი V	მაკორექტირებელი გატარებები და სააღრიცხვო ციკლის დასრულება	107
5.1	მაკორექტირებელი გატარებების არსი და სახეები	108
5.2	სააღრიცხვო ციკლის პროცედურების გაგრძელება წინა თავში განხილულ სადემონსტრაციო ამოცანაზე დაყრდნობით	117
5.2.1	მაკორექტირებელი გატარებების შესრულება შპს “საბა და კომპანიის” მთავარ ბუღალტრულ ჟურნალში	
5.2.2	ინფორმაციის გადატანა მთავარი ბუღალტრული ჟურნალიდან მთავარ ბუღალტრულ წიგნებში	
5.2.3	კორექტირებული საცდელი ბალანსის მომზადება	
5.2.4	ფინანსური ანგარიშგებების მომზადება და ხელმძღვანელ პირთათვის გადაცემა	
5.3	სააღრიცხვო ციკლის დასრულება. დამასრულებელი გატარებების არსი და სახეები. დროებითი ანგარიშების განულების შემდგომი საცდელი ბალანსი	128
5.3.1	დამასრულებელი გატარებების შესრულება შპს “საბა და კომპანიის” მთავარ ბუღალტრულ ჟურნალში	
5.3.2	ჟურნალიდან დამასრულებელი გატარებების შესახებ ინფორმაციის გადატანა მთავარ ბუღალტრულ წიგნებში	
5.3.3	შპს “საბა და კომპანიის” დროებითი ანგარიშების განულების შემდგომი საცდელი ბალანსის მომზადება	

შინაარსი

5.4	სამუშაო ცხრილი – საწარმოს სააღრიცხვო ციკლის პროცედურების სწრაფად დამუშავების საუკეთესო ინსტრუმენტი	137
5.4.1	სამუშაო ცხრილის მომზადება შპს “საბა და კომპანიის” მაგალითზე	141
თავი VI	სავაჭრო ოპერაციები და სავაჭრო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგება	151
6.1	ფინანსური აღრიცხვის თავისებურებები სავაჭრო ბიზნესში	152
6.2	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	154
6.2.1	სასაქონლო მატერიალური ფასეულობების (მარაგების) აღრიცხვის სისტემები	
6.2.2	სასაქონლო მარაგების შესყიდვის აღრიცხვა	
6.2.3	შექმნილი საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა	
6.2.4	შესყიდვის ფასდაკლება (ე.წ. Purchase Discount)	
6.2.5	სატრანსპორტო ხარჯი და საერთაშორისო გადაზიდვის პირობები	
6.2.6	რეალიზებული საქონლის თვითღირებულების გაანგარიშება	
6.3	სასაქონლო მარაგების რეალიზაციის აღრიცხვა	164
6.3.1	საქონლის გასაყიდი ფასი და შემოსავალი რეალიზაციიდან	
6.3.2	გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა	
6.3.3	გაყიდვის ფასდაკლება (ე.წ. Sales Discount)	
6.4	სავაჭრო ოპერაციების აღრიცხვა და მრავალსაფეხურიანი მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	168
6.5	სააღრიცხვო ციკლის დასრულება	176
6.5.1	დამასრულებელი გატარებები (მარაგების აღრიცხვის უწყვეტი სისტემა)	
6.5.2	დამასრულებელი გატარებები (მარაგების აღრიცხვის პერიოდული სისტემა)	
თავი VII	ბუღალტრული აღრიცხვის თავისებურებები სამრეწველო საწარმოებში	186
7.1	სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის თავისებურებები სამრეწველო საწარმოებში	187
7.2	დანახარჯების არსი და კლასიფიკაცია	189
7.3	საწარმოო დანახარჯები და წარმოებული მზა პროდუქციის თვითღირებულება	193

შინაარსი

7.4	საწარმოო დანახარჯების ბუღალტრული აღრიცხვა და ზედნადები დანახარჯების აქტივებზე მიკუთვნების თავისებურებები	198
7.5	დროებითი ანგარიშების განულება (დახურვა)	206
<i>დანართები</i>	211
დანართი I.	ქართულ-ინგლისური ანგარიშთა გეგმა	212
დანართი II.	ბუღალტრული ტერმინების ინგლისურ-ქართული ლექსიკონი	220
<i>გამოყენებული</i>	<i>ლიტერატურა.</i>	253

თავი I

ბუღალტრული აღრიცხვა – ბიზნესის ენა

თავის შინაარსი:

- 1.1 ბუღალტრული აღრიცხვის მიზანი, კვლევის საგანი და მეთოდი; სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ეტაპები
- 1.2 ბუღალტრული ინფორმაციის მომხმარებლები
- 1.3 ბუღალტრული აღრიცხვის სახეები
- 1.4 ბუღალტრული აღრიცხვის ფუნდამენტალური პრინციპები
- 1.5 ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და მარეგულირებელი ორგანოები
- 1.6 ფინანსური ანგარიშგების არსი და კომპონენტები; ფინანსური ანგარიშგების ძირითადი დაშვებები; ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ელემენტები და ხარისხობრივი მახასიათებლები

1.1. ბუღალტრული აღრიცხვის მიზანი, კვლევის საგანი და მეთოდი; სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ეტაპები.

ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შესახებ ისეთ სააღრიცხვო სისტემას, რომლის მიზანია განისაზღვროს: საწარმოს ქონება, მისი ვალეები, მფლობელების წილი ქონებაში, საწარმოს შემოსავლები, ხარჯები და წლიური ფინანსური შედეგები, როგორც მომგებიანობის, ასევე გადახდისუნარიანობის თვალსაზრისით.

შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის მეშვეობით მყარდება კავშირი საწარმოს სამეურნეო საქმიანობასა და მის მენეჯმენტს შორის.

სხვა მეცნიერებების მსგავსად, ბუღალტრულ აღრიცხვასაც აქვს კვლევის საგანი და ამ საგნის შესწავლის მეთოდები.

ბუღალტრული აღრიცხვის შესწავლის საგანს წარმოადგენს: საწარმოს განკარგულებაში არსებული სამეურნეო საშუალებები (აქტივები), ამ აქტივების მიღების წყაროები (საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები) და საწარმოში მიმდინარე სამეურნეო პროცესები (საწარმოს საქმიანობა). ბუღალტრული აღრიცხვის შესწავლა უპირველესად ნიშნავს მისი საგნის სიღმიესეულ შესწავლას. საგნის შესწავლისთვის კი აუცილებელია იმ წესების, პრინციპების და ხერხების ერთობლიობის ცოდნა, რომელსაც ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი ეწოდება და რომლის დახმარებითაც მოიპოვება ინფორმაცია საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლების და ხარჯების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვა, აღრიცხვის სხვა სახეებისგან განსხვავებით საწარმოს სამეურნეო საქმიანობას მისი ფუნქციონირების მანძილზე უწყვეტად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ასახავს და აღრიცხვის დროს ეყრდნობა პირველად დოკუმენტებს.

ბუღალტრული აღრიცხვა არ შემოიფარგლება მხოლოდ სამეურნეო ოპერაციების უბრალო რეგისტრაციით, არამედ ახდენს:

- საწარმოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას;
- მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს;
- სამეურნეო ოპერაციების სათანადო წესით ჩაწერას;
- სამეურნეო ოპერაციების დამუშავებას და განსაზღვრულ დრომდე შენახვას;
- მომხმარებელთათვის დამუშავებული ინფორმაციის მიწოდებას;

საბუღალტრო აღრიცხვის ინფორმაციის მოპოვება-დამუშავება გადის რამოდენიმე ეტაპს:

პირველ ეტაპზე საწარმოს ბუღალტერი მოიძიებს საჭირო პირველადი დოკუმენტებს. ასეთი დოკუმენტები შეიძლება იყოს: ბანკის ჩეკები, საგადახლო დავალება, სალაროს შემოსავალ-გასაღების ორდერები, ხელფასის უწყისები, ანგარიშ-ფაქტურები და ა.შ.


შემდეგ ეტაპზე ბუღალტერი შეამოწმებს, გაანალიზებს და დაამუშავებს პირველად დოკუმენტებს, ანუ განსაზღვრავს დოკუმენტში დაფიქსირებული ოპერაციის შედეგად როგორ შეიცვლება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და შედეგი.

მომდევნო ეტაპზე გაანალიზებული დოკუმენტები სააღრიცხვო ტექნიკის გამოყენებით აისახება ბუღალტრულად და მომზადდება ფინანსური ანგარიშგება საყოველთაოდ აღიარებული ფორმით.

დამუშავებული მონაცემები საჭიროებისამებრ მიეწოდება ინფორმაციის მომხმარებლებს.

სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ეტაპები სქემატურად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ. (იხ. სქემა 1)

სქემა 1



1.2 ბუღალტრული ინფორმაციის მომხმარებლები

ბუღალტრული ინფორმაციის მოძიების და დამუშავების საბოლოო მიზანი არის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფისათვის. ბუღალტრული აღრიცხვის მიერ მომზადებული ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დაგვით:

- ❖ გარე მომხმარებლები
- ❖ შიდა მომხმარებლები

❖ გარე მომხმარებლებს მიეკუთვნებიან:

- **ინვესტორები** – მომხმარებელთა ეს ჯგუფი შეიძლება დაგვით ორ კატეგორიად:

პირები, რომლებმაც წარსულში განახორციელეს ინვესტირება მოცემულ საწარმოში. (აქციონერები, მეწილეები, პარტნიორები და ა.შ.)

პირები, რომლებიც მომავალში აპირებენ საკუთარი ქონების ინვესტირებას მოცემულ საწარმოში. (პოტენციური ინვესტორები) ორივე შემთხვევაში ინვესტორების (როგორც “შემდგარი”, ასევე პოტენციური) ინტერესს წარმოადგენს იმის ცოდნა, თუ როგორ იყენებს